საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/102 "31" მაისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის პ. სილაგაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/262 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/262 გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე პაატა სილაგაძეს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 24 ოქტომბრიდან გაუგრძელდა მოსამართლის უფლებამოსილება მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/61 გადაწყვეტილებით, პაატა სილაგაძე 2019 წლის 3 ივნისიდან გამწესებულ იქნა თბილისის სააპელაციო საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის პ. სილაგაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/262 გადაწყვეტილება.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი